ასე დამარცხდა "რეიმსი"

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 23 ივნისი.

"დინამო": კავაზაშვილი, თორაძე, ჩოხელი, ხოჭოლავა, სიჭინავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, ღოღობერიძე, მელაშვილი, კალოევი, დათუნაშვილი (მესხი).

"რეიმსი": კოლონა (ჟაკე), ჟონკე, ვენდლინგი, ჟიროდი, პენვერნი, ბარატო (დიუბაელი), მიულერი, ლებლონი, სიატკა, ფონტენი, ვენსანი.

მსაჯი: ნ. პოდგორნი (მოსკოვი).

საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში ყოველთვის დიდი მოვლენაა თითოეული გუნდის ისტორიაში, მაგრამ მათს შორის განსხვავება უეჭველად არსებობს. მართლაც, როგორ შეიძლება თანაბარი მნიშვნელობა მიენიჭოს ბასკონიის ნაკრებს, "ვესტ ბრომეიჩ ალბიონს" და, ვთქვათ, ეთიოპიის ან ინდოეთის გუნდებს. აქტიური ბალანსის დაგროვება საერთაშორისო მატჩებში ერთი საქმეა, ხოლო ბრძოლა უცხოეთის უძლიერეს ფეხბურთელებთან, მათთან ურთიერთობა სულ სხვა. ესაა სკოლა, რომელიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს თამაშის საერთო კლასზე და ხელს უწყობს მის პროგრესს.

სწორედ ამ უკანასკნელი თვალსაზრისით ველოდით საფრანგეთის საუკეთესო გუნდის "რეიმსის" ჩამოსვლას თბილისში. "რეიმსის" მნიშვნელობა საფრანგეთში შორს ცდება საკლუბო გუნდის როლს და ფაქტიურად ეროვნული ფეხბურთის საფუძველს წარმოადგენს, ვინაიდან მისი მოთამაშეების უმრავლესობა, ესაა საფრანგეთის ნაკრები გუნდის ბირთვი, მისი წარმყვანი ძალა, ხოლო საფრანგეთის ნაკრები კი ყველასათვის ცნობილია, მესამე ადგილზე გავიდა VI მსოფლიო ჩემპიონატში.

"რეიმსმა" მოლოდინი ვერ გაამართლა. ფრანგებმა წააგეს მატჩი "ზენიტთან" – 0:3, ცსკ მო-სთან _ 0:3. ორ შეხვედრაში "მსოფლიო რეკორდსმენმა" ჟიუს ფონტენმა და მისმა პარტნიორებმა ვერ გაიტანეს ვერც ერთი ბურთი და ასე "მშრალად" ჩამოვიდნენ ჩვენს ქალაქში.

და აი "რეიმსი" შეხვდა თბილისის "დინამოს". პირდაპირ უნდა ითქვას, მაყურებელთა უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა ფრანგების თამაშით და შეიქმნა აზრი, რომ ეს საშუალო კლასის გუნდია, რომელმაც "დინამოს" კარში 2 ბურთი გაიტანა მხოლოდ მეკარე კავაზაშვილისა და მცველების შეცდომის, აგრეთვე მეტად პრობლემატური პენალტის წყალობით.

ძნელია დაეთანხმო იმას, რომ "რეიმსი" საშუალო გუნდია. ფრანგებმა ამას წინათ შთუტჰარტში ჩაატარეს მატჩი და ერთ-ერთი იქაური გაზეთი წერდა: ჩვენ ვერ ვიცანით საფრანგეთის საუკეთესო გუნდი, ვერ ვიცანით ფონტენი".

ვერ იცნო ფონტენი ბ. პაიჭაძემაც. მატჩის დამთავრების შემდეგ იგი გაოცებული იყო ფრანგების ცენტრალური თავდამსხმელის პასიური, დუნე თამაშით, მისი მეტისმეტი "მშვიდობიანი" განწყობილებით მოწინააღმდეგე კარის მიმართ.

"რეიმსის" ხელმძღვანელობა თავიანთ წარუმატებლობას დაღლილობას მიაწერს. შეიძლება ეს ასეცაა, მაგრამ როცა გუნდი მინდორზე გამოდის, მან მთელი ძალები, მთელი ენერგია უნდა მისცეს გამარჯვებისათვის ბრძოლას და თუ მას არა აქვს ეს ბრძოლისუნარიანობა, ეს სპორტული ჟინი და მისწრაფება, ე.ი. გუნდს დიდი, მეტად დიდი ნაკლი გააჩნია.

რა აჩვენა "რეიმსმა" თბილისში? გუნდს აშკარად სუსტი მეკარეები ჰყავს. ჩვენ არ ვიცით, როგორ იცავენ სხვა დროს კარს კოლონა და ჟაკე, ამჯერად კი ორივეს

ელემენტარული შეცდომები ჰქონდა როგორც ტექნიკაში, ისე საჯარიმო მოედანზე თამაშში. სუსტია დაცვის ხაზიც. მრავალ საერთაშორისო ბრძოლაში გამოცდილი ჟონკე, რომელსაც 60-ჯერ აქვს ნათამაშები საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში, თითქმის უსუსური ჩანდა კალოევის წინააღმდეგ. დანარჩენები ზონიდან არ იცვლიან ფეხს და სრულიად ვერ უძლებენ წესებით ნებადართულ ძალისმიერ ბრძოლას. შეიძლება მათ შორის გამონაკლისს წარმოადგენს ვენდლინგი, რომელმაც პირველ ტაიმში დათუნაშვილი ჩაკეტა, ხოლო მეორეში უშეცდომოდ ეთამაშა მესხს. იგი არ აძლევდა თბილისელს წინ გასვლის საშუალებას, იხევდა უკან და აქ უსწორდებოდა მას.

შედარებით უკეთესი იყო "რეიმსის" თავდასხმა. ფონტენი, ლებლონი, ვენსანი, დიუბაელი კარგად ფლობენ ბურთს, აქვთ ზუსტი გადაცემები და საკმაოდ შეთამაშებულნი არიან.

საერთოდ, ფრანგ ფეხბურთელებს ახასიათებთ სიმსუბუქე, ძალდაუტანლობა, მახვილგონიერება და დისტანციის გრძნობა. იშვიათად რომ გადაცემამ ვერ მიაღწიოს მიზანს ან ბურთი პარტნიორისათვის ძნელი მისაღები იყოს. მაგრამ ყველაფერი ეს ხდება მეტად ნელ ტემპში, მცირე ტერიტორიაზე, თითქმის შეჯგუფულად. ამიტომაა, რომ მათ გარეგნული ეფექტი მეტი აქვთ, ვიდრე შედეგი.

თბილისის "დინამომ" კარგად ჩაატარა აღნიშნული მატჩი - ტემპში, მონდომებით, გეგმიანი ურთიერთმოქმედებით. მცირე გამონაკლისის გარდა, დაცვა საიმედოდ დარაჯობდა კარის მისადგომებს, მოწინააღმდეგე ფორვარდებს არ აძლევდა არა თუ თამაშის გაშლის, არამედ საერთოდ კართან გასვლის საშუალებას. ეს კარგია. მაგრამ კვლავ დიდ შეშფოთებას იწვევს დინამოელთა ნახევარდაცვა. თბილისის "დინამო" დღეს აღმავლობის გზაზეა, თანდათან სწორდება ნაკლოვანებანი, უმჯობესდება თამაშის საერთო ნახატი, უფრო სტაბილური ხდება გუნდის შედეგები. მაგრამ სიჭინავა და ზეინკლიშვილი ჯერჯერობით ვერ პასუხობენ ამ პროგრესის შესატყვის მოთხოვნებს. დაცვაში ისინი ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად თამაშობენ, ხოლო მინდვრის ცენტრში და გუნდის შეტევაზე გადასვლისას, ორივენი ეთიშებიან სამოქმედო გეგმას და კარგავენ კონტაქტს თავდასხმასთან. ამის გამო "დინამოს" ფორვარდები მოწყვეტილი არიან თავიანთ უკანა ხაზს, ვერ ღებულობენ მისგან კომბინაციურ მხარდაჭერას და ხანგრძლივი იერიშის წარმოების საშუალებას, ჩვენი ნახევარდაცვის ტაქტიკური მოქმედება მეტად პრიმიტიული და მოუხეშავია.

თბილისელთა თავდასხმა (კალოევი, მელაშვილი, იამანიძე) ამ დღეს მოწოდების სიმაღლეზე იდგა, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ღოღობერიძის ბრწყინვალე თამაში. ეს შესანიშნავი ვეტერანი დღესაც ახალგაზრდული ენერგიითაა აღსავსე და ფაქტიურად გუნდის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ "რეიმსის" მწვრთნელმა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, პირდაპირ გვარით დაასახელა იგი - ღოღობერიძე, როგორც "დინამოს" საუკეთესო მოთამაშე.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში სტუმრებმა გახსნეს (ფონტენი), იამანიძემ მალე გაქვითა გოლი, ხოლო შემდგომში ღოღობერიძემ (ორჯერ) და კალოევმა ოთხამდე აიყვანეს ანგარიში.

"რეიმსმა" შესვენების შემდეგ საგრძნობლად გამოასწორა თამაში და თუმცა დასაწყისშივე მიიღო გოლი მელაშვილისაგან, შემდგომში შეძლო საპასუხო ბურთის გატანა (ლებლონი). თბილისის "დინამომ" მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 5:2.

ბ. ქორქია.

25 ივნისი, 1959 წ.